საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის
აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო

MIA 0 22 03142966

08/11/2022

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **ლევან ზოიძე**
ქობულეთი, დ.აღმაშენებლი ქ.№141

ბატონო ლევან,

გამოვხატავთ რა ღრმაპატივისცემას, ჩვენს შორის არსებული ხანგრძლივი ურთიერთთანამშრომლობის მიმართ, გაცნობებთ, რომ აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს მიერ თქვენს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ეფექტური და ხარისხიანი უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ საჭირო რაოდენობისა და აღჭურვილობის მქონე მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსით, რაც სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პანდემიასთან დაკავშირებულმა ვალუტის განგრძობადმა ინფლაციამ, მსოფლიოს მაშტაბით და მათ შორის საქართველოში, გამოიწვია მსყიდველუნარიანობა(იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ. გვერდი https://www.geostat.ge/ka), რამაც დღის წესრიგში დააყენა დაცვის მომსახურების ტარიფების პოლიტიკის გადახედვა. შესაბამისად ახალ ობიექტებთან ფორმდება ახალი ტარიფით ხელშეკრულება, ხოლო ძველ ობიექტებთან ხდება სახელშეკრულებო თანხის ახალ ტარიფთან შესაბამისობაში მოყვანა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და მათ შორის დაცვის პოლოციის დეპარტამენტში, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან დანაყოფში, მიმდინარეობს თანამშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯოსების ღონისძიებების გატარება. ამასთან ერთად, დაცვის პოლიციის მომსახურების ტარიფის მატება პირდაპირ უკავშირდება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, როგორც დაცვის პოლიციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით დამატებითი რესურსების მიმართვით, ისე ტექნიკური გადაიარაღების თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ, გაცილებით ეფექტურ გახდის მომსახურებას და მნიშვნელოვნად გაზრდის ობიექტის მომსახურებას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს შეთავაზებაა, 2023 წლიდან, დაცვით მომსახურებაზე სახელმწიფო შესყიდვებისას გათვალისწინებული იყოს საპოლიციო ძალით დაცვითი მომსახურების ახალი ტარიფები, კერძოდ: ერთი თვის მომსახურების ღირებულება განისაზღვროს 8712 (რვაათასშვიდასთორმეტი) ლარით / ინსპექტორის საშტატო ერთეული

1292 (ათასორასოთხმოცდათორმეტი) ლარით და უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეული 1060 (ათას სამოცი) ლარით. შესაბამისად საპოლოციო ძალებით დაცვის წლიური მომსახურეობის ანაზღაურება, არსებული საშტატო შემადგენლობით (ერთი ინსპექტორი, შვიდი უმცროსი ინსპექტორი), შეადგენს 104544 (ასოთხიათასხუთასორმცდაოთხ) ლარს.

გთხოვთ განიხილოთ ჩვენი წინადადება და გვაცნობოთ თქვენი მოსაზრებზა.

პატივისცემით,

სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის
აჭარის დაცვის პოლიციის
სამმართველოს უფროსი
კარლო ურუშაძე